ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2559464

ნომერი: AR1395839

თარიღი : 12.04.2016

გაცემის თარიღი : 22.04.2016

გაცნობის თარიღი : 22.04.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ნეფარიძე პ/ნ 01011013483
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 44ა კორ. 4 ბ. 50

ორგანიზაცია:

- შპს ლაბეი დეველოპმენტი კოდი: 406048012

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 12/04/2016 წლის AR1395839 განცხადება ამავე სამსახურის 23/02/2016 წლის №2447147 ბრძანებით შეთანხმებულ დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 23/02/2016 წლის №2447147 ბრძანებით ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №87–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.11.022.004) შეთანხმდა შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვა. მშენებლობის (დემონტაჟის) ვადა განისაზღვრა 23/02/2016 წლიდან 23/06/2016 წლის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით ითხოვთ 23/02/2016 წლის №2447147 ბრძანებით შეთანხმებულ დემონტაჟის პროექტში ცვლილებას და დემონტაჟის პროექტით გათვალისწინებულ რეკომენდებულ სამშენებლო მანქანა–დანადგარებში, მექანიზმებსა და ინსტრუმენტებში სანგრევ მექანიზმად თვლებიანი კომპაქტური დამტვირთველის დამატებას, რადგან პნევმო ჩაქუჩებით არსებული ბეტონის ფილების დემონტაჟი ვერ ხერხდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ №2447147 ბრძანებით შეთანხმებული დემონტაჟის პროექტით გათვალისწინებულია დემონტაჟისთვის რეკომენდებული სამშენებლო მანქანა–დანადაგარების, მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი. პნევმო ჩაქუჩებით არსებული ბეტონის ფილების დემონტაჟი შეუძლებლობა დემონტაჟის პროექტში ტექნიკური შეცდომის არსებობაზე არ მიუთითებს. ამასთან, დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის შედგენა, რომელშიც სადემონტაჟო სამუშაოებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო მანქანა–დანადგარი, ინსტრუმენტი და მექანიზმი იქნება გათვალისწინებული, განმცხადებლის ვალდებულებაა.
სამსახურმა თქვენი მოთხოვნის შესაბამისად №2447147 უკვე შეითანხმა წარმოდგნელი დემონტაჟის პროექტი და ის ფაქტი, რომ მასში სადემონტაჟო სამუშაოებისთვის საჭირო კონკრეტული მექანიზმი არ იყო გათვალისწინებული, დემონტაჟის პროექტში ტექნიკური შეცდომის არსებობას არ ნიშნავს და შეთანხმებული დემონტაჟის პროექტის ცვლილებას საჭიროებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მიიჩნევს, რომ 23/02/2016 წლის №2447147 ბრძანებით შეთანხმებულ დემონტაჟის პროექტში რეკომენდებულ სამშენებლო მანქანა– დანადგარებს, მექამიზმებსა და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება, რის გამოც სამსახური ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას მოკლებულია.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით